საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-08/119

19 სექტემბერი, 2018 წელი ქ. ბათუმი

,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე 2018-2019 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებასთან დაკავშირებით კომისიების შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 1 აგვისტოს N01-08/97 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-13 მუხლის, „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 07 ივლისის №59 დადგენილების, იურიდიული ფაკულტეტის დეკანის, ა. მახარაძის 2018 წლის 14 სექტემბრის MES 4 18 01134539 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამებზე 2018-2019 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებასთან დაკავშირებით კომისიების შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2018 წლის 1 აგვისტოს N01-08/97 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ ბრძანების პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით დამტკიცებულ დანართი 1-ში მითითებულ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,სამართალი" (სისხლის სამართალი-საჯარო სამართალი) მისაღები საგამოცდო კომისიის შემადგენლობა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით :

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა „სამართალი"(სისხლის სამართალი)	
პროფესორი ადამ მახარაძე	თავმჯდომარე
ასოცირებული პროფესორი გივი აბაშიძე	წევრი
ასოცირებული პროფესორი ომარ ფარტენაძე	წევრი
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა	

„სამართალი“(საჯარო სამართალი)	
პროფესორი ომარ მახარაძე	თავმჯდომარე
მოწვეული სპეციალისტი ირინე ურუშაძე	წევრი
მოწვეული სპეციალისტი ნარგიზ ცეცხლაძე	წევრი

2. წინამდებარე ბრძანებით შექმნილ კომისიებს ეთხოვოს „ბსუ-ს მაგისტრატურაში მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 7 ივლისის №59 დადგენილებისა და ამ ბრძანების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.
3. დაევალოს კანცელარიას განათავსოს ბრძანება კანცელარიასთან და ფაკულტეტებთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.
4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.
5. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს და ფაკულტეტებს.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი,
ასოცირებული პროფესორი **მერაბ ხალვაში**